*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მაგდა მიქაბერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

1. ნინო გედეხაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ნათია ღოღობერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. გ. ------ შ. გ. ------ მ. თურმანიძე ------
ნ. ღ. ------ ------ ა. ობოლაძე ------ ------ ------ ------ ლ. ნ. ------

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ ახალციხის N 1 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 224081437 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ახალციხე |
| იურიდიული მისამართი | მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| ფაქტობრივი მისამართი | მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| საფოსტო ინდექსი | 0800 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | არ აქვს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Akhaltsikhe1@mes.gov.ge |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 591411922 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება - MES 5 23 0000614707; 30/05/2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 29-30 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

| | | | განხორციელების ენა | განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| 2. | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| 3. | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

2023 წლის 29 და 30 ივნისს, სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________ ___________ ___________

___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლა დიდი ისტორიის მქონე სკოლაა, რომელიც ცდილობს მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებას. სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტებიდან და ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის განსაკუთრებული ძლიერი მხარეა არაფორმალური განათლების მიმართულება, რომელსაც კვალიფიციური პერსონალის წყალობით აქტიურად ახორციელებს. სკოლის განსაკუთრებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეთა წარმატებები, რომელთა აღიარება მუდმივად ხდება. ასევე, სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობის ნაწილიც. მშობელთა ინიციატივითა და 55-ე გამოშვების კურსდამთავრებულთა სახელით სკოლას ეკრანი გადასცეს, საჩუქრად, რომელიც იმავე ოთახში არის განთავსებული წარწერით „55-ე გამოშვების საჩუქარი ახალ თაობას“. სკოლაში ძალიან აქტიურად პოზიციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, მაგიდის ჩოგბურთის და სხვა კლუბები. აღსანიშნავია ისიც, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს დამატებით გახანგრძლივებული ტიპის უფასო მომსახურებას, ასევე, სკოლა საკმაოდ მრავალფეროვან დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას ქმნის მოსწავლეებისთვის, როგორებიცაა ტრანსპორტიტ მომსახურება, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი კვების ობიექტი, ცეკვის, ჭადრაკი წრეები და სხვა. სკოლაში შეინიშნება საქმიანი, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი ატმოსფერო.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი** 1<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი** 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 1.2<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი** 3<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი** 3.1<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.2<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.3<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.4<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.5<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.6<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.7<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

| | |
|---|---|
| **კომპონენტი** 4.1<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 4.2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 1400 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია**
2. **ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია**
3. **ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია**

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".*

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ...* | | ............... |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

| *სტანდარტი 1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი** 1.2.1.2 | სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; | სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა შემუშავდეს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (25.08.2023-07.09.2023) |
| **ინდიკატორი** 1.2.1.3 | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; | სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (07.09.2023-15.09.2023), შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. |
| **ინდიკატორი** 1.2.1.4 | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, | სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (07.09.2023-15.09.2023) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

| | | |
|---|---|---|
| | შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | იქნება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. |
| | | |
| *სტანდარტი 3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| **ინდიკატორი** 3.1.2.3 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, (29.08.2023-15.09.2023), სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა. |
| **ინდიკატორი** 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____ ____ ____

____ ____ ____ ____ ____ ____ ____

| | | |
|---|---|---|
| | ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. | განსაზღვრულ ვადებში (20.06.2023-30.12.2023), უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, კერძოდ,<br>1. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნის მიღების უზრუნველყოფა; |
| **ინდიკატორი** 3.5.1.3 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25.08.2023-30.05.2024) შექმნას ინკლუზიური გარემო კერძოდ:<br>1. ლაბორატორიაზე წვდომის მიზნით კიბეზე პანდუსის/ლიფტის მოწყობა.<br>2. უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის განთავსება დარჩენილ სართულებზე;<br>3. სააქტო დარბაზში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

| | | |
|---|---|---|
| | | პანდუსის მოწყობა;<br>4. ბუფეტში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობა. |
| **ინდიკატორი** 3.6.3.1 | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (25.08.2023-30.10.2023) ვებ-გვერდის დამზადება. |
| **ინდიკატორი** 3.6.3.4 | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; | სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (25.08.2023-30.10.2023) ვებ-გვერდის დამზადება. |
| **ინდიკატორი** 3.6.3.5 | ვებ-გვერდი, ვებ გვერდის შესაბამისი | სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

| | | |
|---|---|---|
| | გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების | განსაზღვრულ ვადებში (25.08.2023-30.10.2023) ვებ-გვერდის დამზადება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია; | |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.1.1.2* | *სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-* | *სასურველია ახალ მისიაში და ხედვაში ჩანდეს სკოლის განვითრების გზები და მიმართულებები (არაფორმალური კომპონენტის გაძლიერებით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ა.შ) ზვემში გაცხადებული მიზნების რეალიზებისთვის და დროის პერიოდი სასურველი მდგომარეობის მისაღწევად.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___ ___ ___

___ ___ ___ ___ ___ ___ ___

| | | |
|---|---|---|
| | კულტურულ სივრცეს; | |
| ინდიკატორი 1.2.1.1 | სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; | სასურველია აღნიშნული დოკუმენტი გაიმართოს ტექნიკურად და გასწორდეს აკადემიური ნორმების გათვალისწინებით. |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი 3.1.2.1 | სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; | მიზანშეწონილია სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად გაწეროს შემდეგი თემები: ახალი საშტატო ერთეულის განსაზღვრა და ანალიზი, სკოლის პერსონალი, საშტატო პოლიტიკა, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, გადამზადება, განვითარება და შეფასება, პერსონალის მოტივირება და წახალისება, პერსონალის შენარჩუნა, კონფიდენციალობა, ეთიკა, მასწავლებლების პერსონალის მიღების წესი, ადმინისტრაციული პერსონალის მიღების წესი, დამხმარე პერსონალის მიღების წესი, საკონკურსო კომისია, ხელშეკრულებების გაფორმება, პერსონალის სამსახურში მიღების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კანდიდატთა მიერ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

| | | |
|---|---|---|
| | | *წარსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა, გამოსაცდელი ვადა, პერსონალის ფუნქციური გეგმა, პირადი საქმისწარმოება, ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, პროცედურაში ცვლილების შეტანისა და დამატებების წესი.* |
| *ინდიკატორი 3.2.1.4.* | *სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;* | *სასურველია სკოლამ გაწეროს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის დამკვიდრებული წესები.* |
| *ინდიკატორი 3.3.1.2* | *იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;* | *სასურველია სკოლამ შექმნას მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი **ერთიანი** დოკუმენტი.* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | • **მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს ორი ექიმი.** (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ის მიხედვით)<br>• **მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

| | | |
|---|---|---|
| | | **სპეციალისტი**, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში. |
| *სტანდარტი 4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 4.1.2.1* | *სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;* | *სასურველია სკოლამ შექმნას, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭირვალე მექანიზმების **ერთიანი დოკუმენტი.*** |
| *ინდიკატორი 4.1.2.3* | *სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;* | *სასურველია სკოლამ შექმნას დამატებითი მომსახურებების კატალოგი ან ბუკლეტი, რომელშიც ერთად იქნება მოცემული ყველა ის დამატებითი ფასიანი თუ უფასო მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 4.2.1.5* | *სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;* | *იმისათვის, რომ სკოლამ ეფექტურად მართოს/უზრუნველყოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელშიც გაითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, ინიცირებული საკითხების განხილვის ვადებს და პირობებს.* |
| *ინდიკატორი 4.2.2.1* | *კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;* | *სასურველია პროფესიების გაცნობის მიმართულებით დაიგეგმოს და გაიწეროს აქტივობები სადამრიგებლო პროგრამებში, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე.* |
| | | |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(სამივე საფეხურზე) | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.5* | *სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;* | *სასურველია სკოლამ შექმნას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის **ერთიანი დოკუმენტი.*** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

| | | |
|---|---|---|
| | | |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, MIA 823 01947377, 07.07.2023.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

3. სსიპ ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლის საზიარო სივრცეებში კომპიუტერული ტექნიკის განთავსება და ტექნიკის გამოყენების წესები.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მისიაა „ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებში ოცდამეერთე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება“, სკოლის ხედვაა „სკოლა ზრუნავს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სამოქალაქო ცნობიერებასა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაზე. სწავლა-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესის ინოვაციური მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვასა და განხორციელებაზე. ზრუნავს სკოლის, ოჯახისა და თემის კონსტრუქციულ თამშრომლობასა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით თითოეული მოსწავლის განვითარებასა და წარმატებაზე. აღნიშნული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სამომომავლოდ სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიას.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ განვითარებაზე, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იქნება აქტიური მოქალაქე, ამ ყოველივეს მისაღწევად კი სკოლა იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. მართლაც, სკოლას აქვს როგორც შიდა ისე გარე სივრცეები, სადაც ხორციელდება მრავალფეროვან ფორმალური და არაფორმალური აქტივობები. სკოლაში არსებული ვრცელი დერეფნები და ფოიე გამოყენებულია როგორც საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული, წახალისებულია მოსწავლეთა წარმატება და შემოქმედებითობა. სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიას, რომელშიც ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება, *სასურველია ახალ მისიაში და ხედვაში ჩანდეს სკოლის განვითრების გზები და მიმართულებები (არაფორმალური კომპონენტის გაძლიერებით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ა.შ) ზგემში გაცხადებული მიზნების რეალიზებისთვის და დროის პერიოდი სასურველი მდგომარეობის მისაღწევად.*

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

3. სკოლის ღირებულებებია: თანამშრომლობა, ეთიკური ნორმების დაცვა, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, სკოლის ღირებულებები ისახება სკოლის პრაქტიკაში.

სკოლის ამჟამინდელი მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადობა მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადგილობრივი თემის წევრები. მათ დაურიგდათ კითხვარები, შემდეგ მოხდა დამუშავება, ანალიზი და საბოლოოო სახით ჩამოყალიბება

სკოლა გეგმავს მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზიას, რისთვისაც შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მასში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი.

**ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები არის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის ამჟამინდელი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს საჯაროობას. სკოლა გეგმავს განახლებული მისის, ხედვა და ღირებულებების საჯაროობისთვის საინფორმაციო დაფასთან ერთად გამოიყენოს სოციალური ქსელი, დამრიგებელთა ჩატები და ელექტრონული ფოსტა.

**ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

6. სკოლის სახელწოდება „სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
- საინფორმაციო დაფის ფოტო;
- ბრძანება 2-341 - მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგ თავებს: ზოგადი დებულებები, ტერმინთა განმარტება, სრტატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშრებული ძირითადი მიდგომები, სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხიმგებელი სტრუქტურები/პირები, სტრატეგიული გეგმის სტრუქურა და ძირითადი მოთხოვნები, სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, პროცედურის განხორციელების წესები, ყურადღება გამახვილებულია მონიტორინგსა და შეფასებაზე, გადახედვასა და რევიზიაზე. *სასურველია აღნიშნული დოკუმენტი გაიმართოს ტექნიკურად და გასწორდეს აკადემიური ნორმების გათვალისწინებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

**ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული 7 წლიანი, ციკლური სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაყრდნობილი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობას გეგმავს მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე.

**1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც, აზუსტებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს** (25.08.2023-07.09.2023), **აქტივობებს (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავება), რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (0%). ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილად შეესაბამება.**

3. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება დაყრდნობილი შვიდწლიან, ციკლურ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე.

**1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც, აზუსტებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს** (07.09.2023-15.09.2023), **აქტივობებს (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავება), რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (0%). ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად შეესაბამება.**

4. სკოლას არ აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც, აზუსტებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს** (07.09.2023-15.09.2023), **აქტივობებს (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავება), რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (0%). ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილად შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-468 სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯუფის შექმნის შესახებ;

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---- ---- ----

---- ---- ---- ---- ---- ---- ----

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ, სტრატეგიული გეგმის განხორციელების მიზნით მონიტორინგი და შეფასება ხდება ყოველწლიურად, მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მიღებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს ითვალისწინებს მომდევნო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, **თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი 1.2.2.2 ვერ ფასდება.**

3. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობა არ დადასტურდა. სკოლას აღნიშნული გეგმები ჯერ არ ჰქონდა შემუშავებული.

სკოლაში არსებული პრაქტიკა, დირექტორის ყოველწლიური ანგარიში წარდგენილი სამეურვეო საბჭოსთან და აღნიშნული ანგარიშის საჯაროობა ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასკოლო საზოგადოებას წარუდგინოს მის მიერ გაწეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

საქმიანობის ანგარიში, ასევე სკოლამ აღნიშნა, რომ შედეგების გასაზიარებლად გამოიყენებს საინფორმაციო დაფას და სოციალურ ქსელს. **სკოლას აქვს მზაობა, თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი 1.2.2.3 ვერ ფასდება.**

4. **პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი 1.2.2.4 ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ახალციხის N1 საჯარო სკოლამ, ინტერვიუს დროს სქემის სახით, წარმოადგინა საკუთარი სკოლის ორგანიზაციული მოწყობა და სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურის დებულება. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს (დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი), სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიურ საბჭოს (რვა საგნობრივი კათედრა), მოსწავლეთა თვითმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, მანდატურს (ფსიქოლოგიური სამსახური), ადმინისტრაციას (საშტატო: მატერიალურ-ტექნიკური +უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექთანი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; არასაშტატო: დამლაგებელი - 5, დარაჯი - 2.

საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ", ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით და სტრუქტურული ერთეულების დებულების სამუშაო ვერსიით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლამ დასახული მიზნების განხორციელებისთვის შეიმუშავა თავისი ორგანიზაციული მოწყობა. სტრუექტურული ერთეულების დებულებითა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. (თუმცა სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირად მითითებულია ექიმი, როდესაც სკოლას ყავს მხოლოდ ერთი ექთანი).

სკოლაში დასაქმებული პირების სისტემური შეფასება ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გადანაწილებული ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას. სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა პროგრესის ანალიზით ხორციელდება მასწავლებლის ირიბი შეფასება და შედეგების კათედრის სხდომებზე განხილვა.

სხვა დასაქმებული პირების შეფასების შესახებ ხედვა წარმოდგენილია სკოლის „ხარისხის მართვის დებულებაში". სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას და თანამშრომლობითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურის დამკვიდრებას. (ჯგუფის ძირითადი ფუნქციაა გაკვეთილებზე დასწრება, შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა).

დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება, სტრუქტურული ერთეულების დებულება, სკოლის ,,ხარისხის მართვის დებულება" იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- 2022- 2023 სამოქმედო გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ხარისხის მართვის დებულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება;
- კათედრის დებულება;
- საქმისწარმოების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სსიპ ახალციხის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-339 სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ახალციხის N1 საჯარო სკოლის დებულება და საორგანიზაციო სტრუქტურა.

3.1.2. **პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; ანაზღაურების, როგორც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; თანამშრომელთა საჭიროების კვლევით და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა. იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშული პროცესი ხორციელდება სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისთვის და მათი შემდგომი მოტივაციისთვის დანერგილი გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემის საშუალებით (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას სკოლაში ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლის შინაგანაწესის, ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და კონკრეტულ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესის გაცნობა იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. *მიზანშეწონილია სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად გაწეროს შემდეგი თავები: პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, ახალი საშტატო ერთეულის განსაზღვრა და ანალიზი, სკოლის პერსონალი, საშტატო პოლიტიკა, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, გადამზადება, განვითარება და შეფასება, პერსონალის მოტივირება და წახალისება, პერსონალის შენარჩუნა, კონფიდენციალობა, ეთიკა, მასწავლებლების პერსონალის მიღების წესი, ადმინისტრაციული პერსონალის მიღების წესი, დამხმარე პერსონალის მიღების წესი, საკონკურსო კომისია, ხელშეკრულების*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

*გაფორმება, პერსონალის სამსახურში მიღების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კანდიდატთა მიერ წარსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა, გამოსაცდელი ვადა, პერსონალის ფუნქციური გეგმა, პირადი საქმისწარმოება, ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, პროცედურაში ცვლილების შეტანისა და დამატებების წესი.*

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით pedagogi.ge - ზე ვაკანსიის განთავსებით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის 1746 ბრძანების შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად hr.gov.ge - ზე.

სკოლის ადმინიტრაციამ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება ჩანაცვლება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით. ასევე, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ექიმი, საჭიროების შემთხვევაში ექთანი და მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლისთვის/პერსონალისთვის პირველადი დახმარების გაწევას, ხოლოო შემდეგ ხდება მშობელთნ დაკავშირება ან/და სასწრაფო დახმარების გამოძახება. 41/601-23/ნ ბრძანების თანახმად, ვინაიდან სკოლაში ირიცხება 1192 მოსწავლე სკოლას უნდა ჰყავდეს ორი ექიმი. (საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში ექიმი დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით). სკოლის ბაზაზე წახალისებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ასევე, თანამშრომლობა და ინოვაციურობა. მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასევე გარე აქტივობებში, რაც ქმნის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას.

**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____ ____ ____

____ ____ ____ ____ ____ ____ ____

3. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებ-გვერდზე. სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებ-გვერდზე.

ვიზიტის დროს, **სკოლამ ვერ წარმოადგინა** კანონმდებლობით განსაზღვრული „ნასამართლეობის", ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა" და ,,უფლების ჩამორთმევის" ცნობები.

**არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს** (29.08.2023-15.09.2023); **აქტივობებს. (სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა) რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (0%). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია სკოლის პოზიცია და ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

4. სკოლაში დასაქმებულია 63 მასწავლებელი, მათ შორის 19 წამყვანი და 42 უფროსი, 1 მოწვეული, 1 უსტატუსო(საგზაო ნიშნები) მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლაში კონკურსის წესით დასაქმებულია 2 სპეც. პედაგოგი. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პერსონალის პირადი საქმეებისა და eschool ბაზის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებილი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

**ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს და აქტივობებს. კათედრების აქტიურ თანამშრომლობას ადასტურებს ასევე, მათ მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტები, და ინტეგრირებული გაკვეთილები, რომელზეც ვიზიტის დროს საუბრობდნენ პედაგოგები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხშირად ხდება კოლეგებს შორის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, უკუკავშირის მიწოდება, კრიტიკული მეგორბის მიდგომის გამოყენება. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს, პედაგოგების დიდი ნაწილი იმყოფებოდა სკოლაში და თავიაანთი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდნენ, ერთვებოდნენ ინტერვიუში, რაც ქმნიდა თანამშრომლობით და გუნდურ ატმოსფეროს. ამდენად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმები. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. წარმატების აღიარების კარგ პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ სკოლის დირექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითად საგანმანათლებლო ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებებისთვის მოსწავლეებსა და კლასის დამრიგებლებს გადაეცათ მადლობის სიგელები.

ინტერვიუს, კათედრის ოქმისა და დირექტორის ბრძანების საფუძველე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების კარგი პრაქტიკა.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები;
- ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის მასალები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ამისათვით სკოლა შეიმუშავებს შეფასების გამჭირვალე სისტემებს. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრითა და შესაძლებლობებისა და საფრთხეების არსებობით, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითრების მართვას სკოლაში უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე.

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

**ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა სახის კონფერენციებს, მუშავდება პროექტები, რომლებშიც ჩართულნი არიან სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები და თანამშრომლები.

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. სკოლაში პროფესიული განვითარების აქტივობები განხორციელდება, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით, კერძოდ USAID - საბაზო განათლების პროგრამის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლების გადამზადება, ახალი თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესში საჭირო შეხვედრები და სხვა.

**ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვალს. დირექტორის წარდგინებით ხდება მასწავლებლების სტატუსის ამაღლება.

**ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლისთვის მნიშვენლოვანია მისი თითოეული წევრი სკოლის სრულფასოვან წევრად თვლიდეს თავს, შესაბამისად ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციაზე სასკოლო საზოგადოებაში. ამისთვის სკოლაში არის შექმნილი სასიამოვნო სამუშაო გარემო, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობაზე. ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე ან და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

პედსაბჭოზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს გააცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი და ხელისმოწერით ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს, რომელიც ასევე გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლა დამკვიდრებული წესებით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. *სასურველია სკოლამ გაწეროს საკუთარ კულტურაში არსებული დაწერილი თუ დაუწერელი წესები, რომლითაც მოქმედებენ ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციის ხელშესაწყობად.*

**ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების მექანიზმები. სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებული იქნას, წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ,,მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კონფერენციის სერთიფიკატი;
- ტრენინგის გავლის ცნობები;
- გაკვეთილის შეფასების მასალები.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის მართვის დებულება“. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის ჯგუფი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რევიზიას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ჯგუფის საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება გაკვეთილებზე დასწრებითა და უკუკავშირის მიცემით, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენით. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე, პრინციპის დაცვით.

**ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. კერძოდ, შინაგანაწესი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კათედრის დებულება აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოები: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო ძირითადად მმართველობით ფუნქციას ასრულებს, შრომით ხელშეკრულებებით აღწერილია, როგორც ძირითადი და მმართველობითი, ასევე დამხმარე პერსონალის ფუნქციები. *სასურველია სკოლამ შექმნას მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი ერთიანი დოკუმენტი.*

**ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეუო საბჭოში. "ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების" წესის თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

**ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება, ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტის პირობები.

სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ასევე დამრიგებელი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე, მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს მშობელთა კრებაზე.

**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის დებულება;
- დასაქმებულთან და მშობლთან/კანონიერი წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კათედრის დებულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას აწვდის სხვადასხვა არხებით, ესენია: კლასის კრებები (დამრიგებელები მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას სასკოლო სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის ძირითდი საკითხების შესახებ), სკოლის საინფორმაციო დაფა (საქმისმწარმოებელი საჯარო ინფორმაციას და მათ შორის სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშრებულ ყველა დოკუმენტს განათავსებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას), თუმცა ვერ მოხდა სრული საინფორმაციო დაფის დათვალიერება, რადგან ვიზიტის პერიოდი დაემთხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების მზადების პროცესს და ერთი დაფა დაფარული იყო მათი ივენტარით. ინფორმაციის მიწოდებისთვის სკოლა ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონული ჟურნალს, სოციალური ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილ დახურული ჯგუფებს, eflow, teams-ის პლათფორმას, სატელეფონო კომუნიკაციას. სკოლა, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებიდან შემოსულ წერილებზე პასუხების გაცემას. სკოლა სამეურვეო საბჭოს ყოველწლიურად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

წარუდგენს ანგარიშს და ღებულობს შესაბამის უკუკავშირს. პედაგოგიური საბჭო განიხილავს სკოლაში მომდინარე ძირითად პროცესებს და ასევე ახდენს რეაგირებას, გასცემს უკუკავშირს, რასაც შემდგომში ითვალისწინებს სკოლა. ამრიგად, უზრუნველყოფილია სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და უკუკავშირის მიღება. სასკოლო გარემოს შეფასების მიზნით, სკოლა ატარებს მოსწავლეებისა და მშობლების პერიოდულ გამოკითხვას ან/და კვლევას. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კვლევის კითხვარიდან, ჩანს რომ სკოლის სურვილია დაადგინოს როგორ დააკმაყოფილოს მშობელთა საჭიროებები და სურვილები მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. „ზოგადი განათლების" კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში და მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობას.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სკოლის შინაგანაწესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

- დამრიგებლის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ----------

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა, ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

- სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური და შესაბამისი კვალიფიკაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს მანდატურის სამსახური მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის პერიმეტრი შემოღობილია. დაცულია უცხო პირთა გადადგილება, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის 3 დარაჯი. დარაჯის პასუხისმგებლობაა აღრიცხოს ვიზიტორთა ჟურნალში სკოლაში შემოსული პირები, ასევე აკონტროლოს გაკვეთილის დროს მოსწავლეთა უნებართვოდ გასვლა სკოლის შენობიდან.
- წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების მიზნით, დაწყებითი კლასები განთავსებულია შენობის ერთ ნაწილში, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი შესასვლელი და გასასვლელი. ხოლო საბაზო და საშუალო კალსები განთავსებულია სხვა მხარეს და აქვს დამოუკიდებელი შესასვლელ-გასასვლელით.
- სკოლაში არ არის ვიდეოსათვალთვალო სისტემა, არც შიდა და არც გარე პერიმეტრისთვის, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ 2023 წლის 24 მარტს, წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის (N 339735)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების სააგენტოს, სკოლა ითხოვდა უზრუნველყოფილიყო შენობის აღჭურვა სათვალთვალო კამერებით, რაც დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება, თუმცა სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმტერის უსაფრთხოებას.

**დასკვნის პროექტში ღნიშნულია, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-385 საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ და შესაბამისი უწყებიდან 2023 წლის 7 ივლისს, შემოსული თანხმობის წერილი.**

- ასევე დასკნის პროექტის მიხედვით სკოლას **არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** თუმცა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, სკოლას მომზადებული აქვს პროექტი, რომელიც მოიცავს სახანძრო სიგნალიზაციის, აუდიო ვიზუალური მოწყობილობების, ავარიული განათებების, სხვენში ასასვლელი კიბის პროექტირებას. პროექტი შესათანხმებლად, 2023 წლის 20 ივნისს გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. ამ ეტაპზე სკოლის შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია წყლის ავზი, რომელიც უსაფრთხოების მიზნით, დამატებით საშუალებად იქნება გამოყენებული საჭიროების შემთხვევაში. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლის შენობა-ნაგებობების მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება მოხდა 2018 წელს, თუმცა აღნიშნული შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევები, დღემდე მოუგვარებელია. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ თხოვნით მიმართა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**განვითარების სააგენტოს** (20/06/2023). **არგუმენტირებული პოიციის დროს სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან - 19.07.2023-ში მიღებული წერილი დაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით.**

- შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისათვის საჭირო ინვენტარით და სამედიცინო მედიკამენტებით. სკოლას არ ჰყავს ექიმი. საშტატო ერთეულით განსაზღვრული ჰყავთ ერთი ექთანი. ექთნის ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გამოყოფილი მისი ფუნქციები. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე სკოლაში, ასევე ზრუნავენ მანდატურებიც, რომელთა პირდაპირი ფუნქციაა საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ექიმის ვაკანსია, თუმცა სასურველი კადრის მოძიება ვერ მოახერხა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ის მიხედვით მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს ორი ექიმი.
- **დასკვნის პროექტში სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე,** ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია მიეწერათ წერილი შესაბამისი ორგანოსთვის.
- *მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (20.06.23-30.12.2023), (რისკებს-20%) ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" ბრძანების საფუძველზე შექმნილი ყავს მრჩეველთა საბჭო, რომლიც კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს საქმიანობას. სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე მოქმედებს თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლის ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, სკოლის დარაჯი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მანდატური უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი.

**ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგიურ მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფქიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული თემები: პიროვნული და მორალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

განვითრება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია; სკოლაში განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. სკოლის შესასვლელში გამოფენილი, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი განწყობა.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 5 დამლაგებელი და 2 მეეზოვე, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლას გააჩნია სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების გრაფიკი. მონიტორინგი დავალებული აქვს ექთანს. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. გოგონებისთვის განკუთვნილ რამდენიმე სველ წერტილში დაზიანებულია კარის დახურვის მექანიზმი, სველი წერტილების ნაწილში არ არის დამონტაჟებული ქაღალდის სამაგრები, თუმცა, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი.

**ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

5. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც გაწერილია: მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირი და მათი უფლებამოსილება. თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირედება პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელება.

სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე. ელექტრონულ სისტემაში სკოლის მონაცემთა ბაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმისმწარმოებელი და დამრიგებლებს. ხოლო, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. ასევე, დაცულია სკოლის პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პირადი საქმეების დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების და გაკვეთილებზე დასწრების/გაკვეთილის გაცდენის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

**ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით" დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი, განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---- ---- ----

---- ---- ---- ---- ---- ---- ----

დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე.

**ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება დირექტორის მ/შ, 2022-2023 წლის ანგარიშით, რომლის მიხედვით სკოლა მაქსიმალურად ცდილობს აღკვეთოს მოსწავლებს შორის ბულინგი, კიბერ ბულინგი, აამაღლოს მათი სამოქალაქო თვითშეგნება, აუხსნას პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის მნიშვნელობა, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მ/შ წერილი (N 339735) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს;
- დამრიგებლის სამუშაო დებულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________ ______________ ______________

______________ ______________ ______________ ______________ ______________ ______________ ______________

- მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება 2-32 უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება 2-385, საგანაგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, MIA 823 01947377, 07.07.2023

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ახალციხის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, ქ. ახალციხეში მიქუტიშვილის ქ. N 2 -ში. მიწის ნაკვეთის ზომა არის 6343 კვ. მ. მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის შენობა, რეაბილიტირებულია 2015-2017 წლებში.

სკოლაში სულ 44 საკლასო ოთახია. ოთახები ნათელი და დიდია. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით (სკოლას სულ გააჩნია 1490 სასკოლო მერხი და ამდენივე სასკოლო სკამი. ვიზიტის დროს ვერ მოხდა დათვლა რადგან დასაწყობებული იყო. (ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადებიდან გამომდინარე) ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, ურნებით. სკოლის სარგებლობაში არის 15 პროექტორი, 110 პერსონალური კომპიუტერი, 50 პორტატული კომპიუტერი, 9 პრინტერი. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის სკოლა უზრუნველყოფს 1145 მოსწავლის მომსახურებას, მომავალი სასწავლო წლიდან დაემატება ერთი კლასი და შესაბამისად საკლასო ოთახად გამოიყენებენ ინგლისურის კაბინეტს. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლაში არის ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ლაბორატორიაში გარდა ძირითადი ოთახისა არის დამხმარე ოთახი.

სკოლაში არის ორი კომპიუტერული კლასი, დახურული სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, სკოლას ცენტრალურ შემოსასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი (ადაპტირებული მაგიდა სკამები, კომპიუტერი, პრინტერი). გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის ბიბლიოთეკა, სადაც წიგნადი ფონდი არის 8000, წიგნები დამოწმებულია ბიბლიოთეკის ბეჭდით. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია მუშაობის განრიგი და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია ანბანური თანმიმდევრობითა და ჟანრობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

მახასითებლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკარი თავისი პირდაპირი ფუნქციის გარდა ეხმარება მასწავლებლებს პროექტებისა და სხვა აქტივობების ჩატარებაში. ბიბლიოთეკას ამ ეტაპზე, არ გააჩნია საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი, მაგრამ გამოხატავს მზაობას და მომავლისთვის გეგმავს, ელექტრონული კატალოგის გამოყენებას. სკოლაში ასევე არის სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიჭების, გოგონების, პერსონალის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. სკოლას აქვს ეზო და შენობის შესასვლელში დიდი სივრცე, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეკრება და სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა. ლაბორატორიაში არის სავენტილაციო სისტემა. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას არსებული ქონება გადაეცა უვადოდ, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით.

**ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, **კოდინგის ოთახი,** საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი (აღჭურვილი სათნადო ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის სხვადასხვა ზომის ბურთებით, კალთბურთის ფარებით, ტენისის მაგიდებით და სხვა), ბიბლიოთეკა, რომელიც პატარა ზომისაა და პრაქტიკულად არ არის სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი (რესურსოთახი) და სამასწავლებლო. მასწავლებლებისთვის გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია ლეპტოპები. აღნიშნული სივრცის გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ ერთობლივი ან ინდივიდუალური მუშაობისას. სკოლას დაწესებული აქვთ ლეპტოპებით სარგებლობის წესი, აქვთ ჟურნალი, რომელშიც აკეთებენ ჩანაწერებს ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

მასწავლებლები, რომლებსაც გააქვთ და სარგებლობენ კომპიუტერით. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისა და დასვენების საშუალებას.

**ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია**

3. როგორც დასკვნის პროექტში აღვნიშნეთ, შენობის შესასვლელი ადაპტირებულია; შენობის მხოლოდ პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და მათ გამოყენებას, თავისუფლად შეძლებს სსმ მოსწავლე. დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ **კიბეზე არ იყო დამონტაჟებული პანდუსი და/ან არ ფუნქციონირებდა ლიფტი, შესაბამისად სსმ მოსწავლეები ვერ შეძლებდნენ ესარგებლათ საერთო სარგებლობის იმ სივრცეებით, რომლებიც განთავსებულია მეორე სართულზე, მაგალითად კომპიუტერული კლასი და ლაბორატორიები. ასევე, სააქტო დარბაზი განთავსებულია პირველ სართულზე და არ ჰქონდა პანდუსი** (სააქტო დარბაზის მდებარეობიდან გამომდინარე მარტივად შეიძლება მისი ადაპტირება). **კაფეტერია განთავსებული იყო ნახევრსარდაფში და ჩასასვლელი არ იყო ადაპტირებული. რასთან დაკავშირებითაც სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. წერილით(MES 4 23 0001037328, 25.08.2023) მიმართა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს, რომელშიც ითხოვს თანხას აღნიშნული ინფრასტრუქტურული საკითების მოგვარების მიზნით.** გასათვალისწინებელია, რომ სკოლაში ყველა კლასი მოძრავია, რაც კიდევ უფრო გაართულებს სსმ მოსწავლეების გადაადგილებას. ამ ეტაპზე სკოლის არცერთ მოსწავლეს არ აღენიშნება მოძრაობის შეზღუდვა, თუმცა ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, გამოთქვეს მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გაკეთდება ალტერნატიული ცხრილი და ყველა კლასს გამოეყოფა საკუთარი საკლასო ოთახები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს** (25.08.2023-30.05.2024). **ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.5.1.3 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

**ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.
**დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის** (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.
**საბუნებისმეტყველო მიმართულებით:** თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.
სპორტის გაკვეთილებისთვის - შიდა და გარე სპორტული დარბაზი/მოედანი, რომელსაც აქვს გასახდელები. სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილების განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი.

**საბაზო და საშუალო საფეხურები:**
**საბუნებისმეტყველო მიმართულებით:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვი სისტემებით. ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდები უზრუნველყოფილია ინდივიდუალური წყლის ონკანებით. საბუნებიმეტყველო ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც კარადებში და ყუთებში განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და ინახება წესის შესაბამისად. ლაბორატორიაში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალსიწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად.

**სპორტის გაკვეთილებისთვის** - სკოლაში არის სპორტული დარბაზი, ასევე, ეზოში არის სპორტული მოედანი.

**კომპიუტერული კლასი** - საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, რომელიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, გლობუსები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა საჭირო რესურსები.

წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

**ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინფრასტრუქტურის, სკოლის ტერიტორიის, ინვენტარის ამსახველი ფოტოები;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისთვის მიწერილი წერილი - 25.08.2023;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმა“. სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება. ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ამჟამინდელი ინფრასტრუქტირა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ამჟამად სკოლაში, მუშა მდგომარეობაში არსებული პერსონალური კომპიუტერების რაოდენობაა - 80, ხოლო ლეპტოპის - 32. სკოლას აქვს 6 პროექტორი და 5 პრინტერი. საზიარო სამუშაო სივრცეს ასევე წარმოადგენს კომპიუტერული ლაბოლატორიები, ბიბლიოთეკა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სივრცე, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი. აქვე შესაძლებელია მასწავლებლებმა იმუშაონ და მოემზადონ გაკვეთილისა თუ ღონისძიებისათვის. ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ ჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი. სკოლა მთლიანად დაფარულია ინტერნეტით, Wifi არის სკოლის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ცალკეულ კლასებში არის საკაბელო ქსელიც. სკოლის ინტერნეტ სიჩქარე ძალიან ცვალებადია. როცა არასამუშაო საათებია 90Mbps -მდეც არის, ყველაზე აქტიურ დროს 1-10 Mbps, ინტერნეტის ხარისხი დაბალია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს საკმარისი პროექტორების რაოდენობა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, თუმცა რამდენადაც სკოლა გააზრებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის როლი სასწავლო პროცეში და წარმოადგინა ,,ციფრული განვითარების გეგმა" შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

**ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. როგორც დასკვნს პროექტში აღვნიშნეთ **სკოლას არა აქვს შემუშავებული** გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელი უფლებებს ( შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის).

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა საზიარო სამუშაო სივრცეებში ტექნიკის განთავსებისა და გამოყენების წესი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- საზიარო სივრცეების ფოტოსურათები;
- საზიარო სამუშაო სივრცეებში ტექნიკის განთავსებისა და გამოყენების წესი.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა - ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე.

**ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - Eflow, სკოლაში eschool - ის სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა - ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

**ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ინფორმაციას. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმის შესაბამისად ცვლილებები განხორციელოს საქმისწარმოების წესში.

**ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის 2-207 ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა (რესურსცენტრთან კომუნიკაცია);
- ბრძანება ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 (07.12.2022);
- სსიპ ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლის საზიარო სივრცეებში კომპიუტერული ტექნიკის განთავსება და ტექნიკის გამოყენების წესები.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. როგორც დასკვნის პროექტში აღვნიშნეთ, **სკოლას არ ჰქონდა ვებ გვერდი.** შესაბამისად საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებდა სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულაბას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. საზგადოებასთან კომუნიკაციისთვის ასევე, სკოლა იყენებს ელ. ჟურნალს და თიმსის პლატფორმას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

**3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (25.08.2023-30.10.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, ინდიკატორი 3.6.3.1. შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

2. რამდენადაც სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, სკოლის მიერ გავრცელებული საკანონმდებლო საკითხებთან გავრცელებული ინფორმაცია იქნება ზუსტი და უტყუარი. რაც შეეხება სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებას, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მართავს სოციალური ქსელს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების სიზუსტეს. სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

სკოლის ფეიბუქგვერდის https://www.facebook.com/firstschoolofakhaltsikhe დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია პროვაიდერის ოფიციალური გვერდიდან.

**ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლას **არ ჰქონდა შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი**, თუმცა ინტერვიუს პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებენ საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად: სოციალურ ქსელიდან შემოსული ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში მუშავდება. თუმცა აღნიშნული არ დასტურდებოდა დოკუმენტურად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი დამტკიცებული დირექტორის ბრძ. N2-461; 22.08.2023. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დასკვნის პროექტში წარმოდგენილია, რომ **სკოლას არ ჰქონდა ვებ გვერდი.**

**3.6.3.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 3.6.3.4 ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (25.08.2023-30.10.2023). აქტივობებს და რისკს (0%). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.6.3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

5. სკოლას არა აქვს ვებ-გვერდი

**3.6.3.5. ინდიკატორთან მიმარტებით თ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (25.08.2023-30.10.2023), აქტივობებს; რესურსებს, (ადამიანური სკოლის დირექტორი და საინფორმაციო მენეჯერი;) და რისკებს 0%. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.6.3.5 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელის მისამართი - https://www.facebook.com/firstschoolofakhaltsikhe ;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- დამრიგებლის სამუშაო დებულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

- წერილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს - MES 9 23 0001036766, 25.08.2023;
- ბრძანება N2-470 სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ვებგვერდის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ახალციხის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტით და სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტის შემუშავების დროს ხდება წინა წლის დაგეგმილი და შესრულებული ბუიჯეტის ანალიზი და მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გავალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესყიდვების შესახებ. 2023 წლის ბიუჯეტიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულება, კერძოდ, სსსმ მოსწავლეებისთვის დამატებითი დაფინანსება.

**ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორი მ/შ ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს დებულება;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 (07.12.2022)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დიციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. მოსწავლეთა ძირითადი გარანტიები მოცემულია დამრიგებლის დებულებაშიც. ასევე, მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს საკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენი წესი, ტარდება დიაგნოსტიკური წერები, ასევე წლიური, სემესტრული, ექსტერნის, საშემოდგომო გამოცდები. ასევე, ასახულია კლასისა და საფეხურის დაძლევის წესები და სხვა. სკოლას აქვს ფოტო, ვიდეო გადაღებაზე და შემდგომ სოციალურ ქსელში გავრცელებაზე თანხმობის ფორმა. სკოლას აფორმებს მოსწავლესა და მშობელს შორის ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლას შემუშავებული აქვს პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია უსაფრთხო და შემეცნებითი გარემოს შექმნა. სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის,

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტით, დგინდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

**ინდიკატორია 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**ინდიკატორია 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

**ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

- შინაგანაწესი;
- სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- მშობელთა კრების ოქმი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საინფორმაციო დაფის ფოტოსურათი, რომელზეც განთავსებულია შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისს მინისტრის ბრძანების შესაბამის ვადებში. პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის სკოლა აღნიშნულ ინფორმაციას ათავსებს საინფორმაციო დაფაზე და ფეისბუქ გვერდზე. ხოლო, საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. *სკოლას მიეცა რჩევა შექმნას, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭირვალე მექანიზმების ერთიანი დოკუმენტი.*

**ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის არსებული პრაქტიკა, მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლაში გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები. სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ფაქტები. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები კანონმდბლობის შესაბამისია.

**ინდიკატორი 4..1.2.2. დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი, სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი და ხელშეკრულებითაა განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკის მიხედვით მეიჯარე ადგენს საფასურს. დამატებითი მომსახურების სახით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ცეკვისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჭადრაკის წრეებს, ასევე სკოლაშ ფუნქციონირებს კაფეტერია, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობილი და აღჭურვილი. სკოლა აწვდის ინფორმაციას ფასიანი წრეების ფუნქციონირების შესახებ. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი და დირექტორის თანხმობით მეიჯარე დამრიგებელთან ერთად მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას არსებული ფასიანი წრის შესახებ. მშობლები აღნიშნულ ინფორმაციას ღებულობენ მშობელთა კრებაზე/კლასის ჩატის საშუალებით. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ დამატებით მომსახურებას ასევე, წარმოადგენს არაფორმალური მიმართულებით პროექტებში და კლუბებში მონაწილეობა, რაც ემსახურება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ, პიროვნულ ზრდას და განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნული პროექტების და მოსწავლეთა მოსალოდნელი საქმიანობის/ქცევის შესახებ წინასწარაა ყოველთვის ცნობილი. მისი გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის პროექტის წარდგენის ეტაპზე. სკოლაში არსებული დამატებითი მომსახურბებია: უფასო გახანგრძლივებული, ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, მეტყველების განვითარების წრე, სამოქალაქო განათლების კლუბი, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში შექმნილია კლუბი „წიგნის მეგობრები". გოგონებისა და ბიჭების ფეხბურთის წრე, ბადმინტონის წრე.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. *სასურველია სკოლამ შექმნას დამატებითი მომსახურებების კატალოგი ან ბუკლეტი, რომელშიც ერთად იქნება მოცემული ყველა ის დამატებითი ფასიანი თუ უფასო მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს.*

**ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა საერთო ჯგუფებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რასაც მასწავლებლები თავის მხრივ მოსწავლეებს უზიარებენ. სკოლის სოციალური ქსელით შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია გვერდის ადმინისტრატორი. ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე.

**ინდიკატორი 4..1.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/მობილობის/საფეხურის დაძლევის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
- სოციალური ქსელის ლინკი - https://www.facebook.com/firstschoolofakhaltsikhe;
- დამრიგებლის დებულება;
- იჯარის ხელშეკრულება;
- კლუბის დებულება:
- კაფეტერიის ფოტოსურათი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________ ______________ ______________

______________ ______________ ______________ ______________ ______________ ______________ ______________

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლის გარემოსთან, რისთვისაც შემუშავებული აქვს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი თითოეული ნაბიჯი.

**ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ტრანზიციის გეგმაში მოცემულია, რომ პირველკლასელთა ადაპტაციისთვის, დამკვიდრებული პრაქტიკაა ბაღის აღმზრდელებთან გასაუბრება მოსწავლთა საჭიროებების დასადგენად. სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე ატარებს ღია კარის დღეებს მომავალი მოსწავლეებისთვის, რომელზეც სკოლის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ხვდებიან ერთმანეთს და ათვალიერებენ სასკოლო გარემოს. სკოლას ასევე, აქვს შექმნილი ბროშურა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. მოსწავლეთა უკეთ გაცნობის მიზნით დამრიგებლები ავსებენ კითხვარს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის გეგმა. ინტერვიუს პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა სწავლის დაწყებიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეებს ადაპტირდნენ გარემოსთან, რისთვისაც დამრიგებლები იყენებენ კითხვარებს, მასზე დაყრდნობით წარმართავენ მშობელთან და მოსწავლეებთან ურთიერთობას და განსახორციელებელ აქტივობებს.

**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

3. სკოლისთვის ძალიან მნიშნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. შესაბამისად სკოლა/მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტებს, აწვდიან მოსწავლის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, წარმატებებისა და საჭიროებების შესახებ. იყენებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ სწავლებას და ეხმარებიან მათ სირთულეების დაძლევაში. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით გაკვეთილებზე მოსწავლეთა შეფასება ხდება, საგნობრივ კათედრებზე წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებს უფასოდ სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს.

**ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქმნის სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფს და შესაბამის ინდ. გეგმებს.

**ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტებსა და აქტივობებში. როგორიცაა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ შემოთავავზებულ პროექტებში, ასევე PH International-ის პროეტში, გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების პროექტში „მწვანე ჯილდო“. სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს არაფორმალური განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------- ------------- -------------

------------- ------------- ------------- ------------- ------------- ------------- -------------

მიმართულებას და სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე სხვა დამატებითი არაფორმალური აქტივობები შესთავაზოს. მოსწავლეთა ინიციატივები და სამოქალაქო აქტიურობა ხშირად არის წახალისებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. *იმისათვის, რომ სკოლამ ეფექტურად მართოს/უზრუნველყოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელშიც გაითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, ინიცირებული საკითხეების განხილვის ვადებს და პირობებს.*

**ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მომსახურების მიზნობრივი გაუმჯობესება, რასაც საფუძვლად მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი დაედება. მიმდინარე ეტაპზე, სკოლა იღებს ზეპირ უკუკავშირებს მოსწავლეებისგან და მოსწავლეთა თვითმმართველობისგან თუმცა აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია ამ პროცესს მისცეს სისტემატიზებული სახე. *სასურველია სკოლამ შექმნას კითხვარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მიიღოს მოსწავლეთა უკუკავშირი, გაანალიზოს მიღებული შედეგები და დახვეწოს შეთავაზებული მომსახურებები.*

**ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პირველკლასელთა ტრანზიციის გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______
______ ______ ______ ______ ______ ______ ______

- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სსსმ მოსწავლის სემესტრული შეფასება;
- მოსწავლეთა ჩარცხვა/ამორიცხვის ბრძანებები;
- კლუბის სამოქმედო გეგმა;
- განხორციელებული პროექტები;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „ოპიზართან“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობიან „სატყეო საქმესა“ და „სერვირებას“. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ სსსმ მოსწავლეთა მშობლებს სკოლა აწვდის ინფორმაციას ქალაქში არსებული პროფესიული სასწავლებლების შესახებ, შემდეგ კი სურვილისა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე აგრძელებს სწავლას სრულიად უფასოდ, სასურველი მიმართულებით. სკოლაში ტარდება სხვადასხვა პროექტები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებას სხვადასხვა პროფესიების შესახებ. *სასურველია პროფესიების გაცნობის მიმართულებით დაიგეგმოს და გაიწეროს აქტივობები სადამრიგებლოო პროგრამებში, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე.*

**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და საკლუბო მუშაობას. დროგამოშვებით აწვდის ინფორმაციას კარიერული დაგეგმვისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ.

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობს მოსწავლეთა კარიერული და პროფესიული დაგეგმვის ნაწილში განახორციელოს კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და გამოკითვის შედეგები გაითვალისწინოს სამომავლოდ, რაც საშუალებას მისცემს შეიმუშაოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმა. სკოლა აღნიშნავს, რომ მომდევნო წლისთვის შეიმუშავებს კითხვარებს, რომელთა საშალებითაც დაადგენენ მოსწავლეთა საჭროებას და ინტერესებს კარიერული ზრდის მიმართულებით, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი დაგეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებას.

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მემორანდუმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

მასწავლებელმა ასევე წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები.

**ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსითა და ავეჯით. ასევე აქვთ რესურსოთახის გამოყენებით გრაფიკი. ისგ ჯგუფში შედის მასწავლებელი, დამრიგებელი, სპეც.მასწვალებელი, ფსიქოლოგი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს ჩართულობას. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხდება სსსმ მოსწვალეების მიღწევების სისტემატური მონიტორინგი.

**ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება 2-63 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

*(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა დამატებითი არასავლდებულო მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ახალციხის მერიის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტს, რომელიც სისტემატიურად კონტროლდება უფლებამოსილი პირების მიერ, უფასო გახანგრძლივებული სწავლება, კვების ობიექტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით და დანერგილია „HACCP" სტანდარტები, სკოლაში არის ჭადრაკის წრე, ცეკვის წრე, გახანგრძლივებული წრე.

**ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

2. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ყველა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, სკოლა აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას აღნიშნული მომსახურებების შესახებ.

**ინდიკატორი 4.1.4.2 დაკმაყოფილებულია.**

3. თითოეული მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობისა და შესაბამისი წესების დაცვით.

**ინდიკატორი 4.1.4.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- იჯარის ხელშეკრულებები;
- კვების ობიექტის ფოტოებ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (დაწყებითი საფეხური)

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (დაწყებითი საფეხური)

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია" აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება იწყება სასწავლო წლის დასრულებისას კათედრების მიერ, შემდეგ ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას ბარათების გადაგზავნით, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულებას, ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------- ------------------- -------------------

------------------- ------------------- ------------------- ------------------- ------------------- ------------------- -------------------

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე („სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, საგნობრივი კურიკულუმები), კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით და ფიქსირდება მათი შეხედულებების მასწავლებლების მიერ გათვალისწინების მზადყოფნა, კომპლექსური დავალების შესრულებაზე მიმდინარეობს დაკვირვება და ანალიზი შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით (რა და როგორ უნდა მომხდარიყო, რა მოხდა, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად), დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.
ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასურველია მოცემული მეთოდოლოგია გადაიხედოს და ჩაემატოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ფუნქცია-მოვალეობებიც.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. სკოლა ყოველწლიურად ატარებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტირებას და ხდება შედეგების განხილვა, რათა კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით გასაზღვრულია, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა. კერძოდ, კათედრაზე ხდება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე დაწყებითი კათედრის წევრებს შეთანხმებული და დაგეგმილი აქვთ თემატური მიმართულებები, შემუშავებულია კომპლექსური დავალებების ბარათები, რომლებიც გასაცნობად ეგზავნება მშობლებს და იღებს უკუკავშირს.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ამრიგად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში არ არის წარმოდგენილი თუ რა გზებით და ფორმით ხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, თუმცა ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ I-IV კლასების ინტეგრირებული კათედრის შეხვედრაზე ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა და გაანალიზება. აღნიშნული ინფომრმაციის მშობლებთან გაზიარებისთვის გამოიყენება მშობელთა კრება და სოციალური ქსელში შექმნილი ჩათები. სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც გაიწერის სასკოლო კურიულუმის გაზიარების გზები.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ამის თაობაზე დასკვნის გაკეთება შესაძლებელია სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი I-IV, V-VI კლასების კურიკულუმებით. კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილში ჩაწერილია სავალდებულო თემა, საკითხი, რომელზედაც მოცემულია კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

პროცესის სუბიექტად. ამ ეტაპზე სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, კათედრას თავის შემაჯამებელ ფორმაში ჩამოთვლილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და აღნიშნავს, რომ დავალებებზე მუშაობის პროცესში განხორციელებული აქტივობები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა ხარისხს, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში და კურიკულუმის ჩარჩოში გაიწერება ახალი ან მოდიფიცირებული კომპლექსურების შესაბამისი მატრიცებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, სკოლა ქმნის მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობ გარემოს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ამისთვის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. წარმოდგენილი I-VI კლასების ყველა საგნობრივი კურიკულუმი და ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება, როგორც საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (მაგ., კვლევა) ფორმირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრაზე საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგროვდა ისგ შემუშავების მიმართულებით. ამ პროცესში აქტიურად ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სწავლა - სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს: ადაპტირებულ გარემოს, ინდივიდუალურ გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლები ზრუნავენ სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზონ მოსწავლეებს, რომ გაზარდონ მოსწავლეების ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეუწყოს ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მაწავლებელი ახდენს დიფერენცირებას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, შესაძლებლობიდან გამომდინარე შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ამოცანაა: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გეგმების განხორციელება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინტერვიუს შედეგები და წარმოდგენილი I-VI კლასების კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

4. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და შესაბამის კომპეტენცია თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ქვესაკითხის მიმართ, რაც წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ განმავითარებელი შეფასება მოხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.

დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, რაც ასევე დასტურდება შეფასების რუბრიკების ნიმუშებით. დაწყებითი საფეხურის კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუმ, დაგვანახა რომ მასწავლებლებს აქვს საერთო ხედვა განმსაზღვრელი და განამვითარებელი რუბრიკების შექმნასთან მიმართებით.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, ხდება ინფორმაციის შეგროვება და ზეპირსიტყვიერი ანალიზი. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული კურიკულუმი. წინა სასწავლო წელს მოხდა ქოუჩებთან ერთად დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. კომპლექსური დავალებების შესრულების შემდეგ ზეპირი რეფლექსიის შედეგად გადამუშავდა კომპლექსური დავალებები. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- კათედრის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა, ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის), განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ვლინდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კურიკულუმებში მოცემული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპზე სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებში არ ჩანს კითხვები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, თუმცა სკოლას გააზრებული აქვს სწავლის სწავლას მნიშვნელობა მათი განვითარებისათვის და აქცენტს აკეთებს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ამის გამოცდილება სკოლას აქვს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, სრულად იცავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას, მუშაობის პროცესში მოსწავლეს აფიქრებს სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარება მას მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ახლად შემუშავებული დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს, კომპლექსური ბუნების დავალებები გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და საგნობრივი კომპონენტების იტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრას ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა უკვე აქვთ და მომავალშიც აპირებენ, რაც კიდევ მეტად დაეხმარება მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია, კურიკულუმები შემუშავების პროცესშია და ბოლომდე არაა გაწერილი, თუმცა მითითებულია ის საგნობრივი საკითხები, რაც უნდა გაიარონ წლის მანძილზე და გააზრებულია მათთან შესაბამისი სამიზნე ცნებები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულების ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნების ქვეცნებები დასაზუსტებელია. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ სავარაუდოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზია და გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ ყველა ხარვეზსს.

**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა და სოციალურ ქცევებს შორის.

ჩატარებული გასაუბრები შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.

დასკვნისაით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გამოყენებული კონტექსტები უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. აქტიურად იყენებდა და იყენებს პროექტ „ჯიპრაიდის" განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. გარდა ამისა საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________ ___________ ___________

___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დოკუმენტის სახით არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილი მექანიზმი, თუმცა დაწყებით საფეხურზე შეფასების სიზუსტის შემოწმების მიზნით სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზის საშუალებით. *სასურველია სკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი.*

**ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესისი შესაბამისად ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

**ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისთვის საჭირო ყველა საკითხი, რომლებსაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ხაზს უსვამს სასკოლო კლიმატის მნიშვნელობას. თანამშრომლობითი ურთიერთობები პრიორიტეტულია საქმიანობის პროცესში. დირექტორი ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

2. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები და სასწავლო პროცესიც ამის შესაბამისად იგეგმება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. სკოლას გათვალისწინებული აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა, ასევე, გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

**ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად თუ წარმატების უზრუნველსაყოფელად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. სკოლა მზადაა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი თვალით დანახული პერსპექტივები შესაძლებელია დაწესებულებისთვის იყოს ნაყოფიერიც და ხელშემშლელიც იმის მიხედვით, თუ როგორია სასკოლო კულტურა.

**ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა. კლასში პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მრავალფეროვანი, საინტერესო და ინტერაქტიული რესურებით მოწყობილი გარემო, რომელიც დადებით განწყობას ქმნის დანახვისთანავე.

**ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში არ არის ყურადღება გამახვილებული კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე, თუმცა ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად ხდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის მონიტორინგი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფას.

**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვების შედეგად კათედრები აანალიზებენ საჭიროებებსა და აწვდიან შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს დაკვირვების ობიექტს.

**ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციის განმარტებით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და

კურიკულუმში. ყველა კვლევითი კითხვა და იდეა მოემსახურება სკოლის წინაშე მდგომ გამოწვევებსა და მოლოდინებს, რაც შეფასების სფეროების და მიმართულებების მიზნობრიობის დადგენას შეუწყობს ხელს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას. კერძოდ გამოკითხვა, დაკვირვება, ურთიერთთანამშრომლობა, რაც დასტურდება კურიკულუმს მეთოდოლოგიის დანართებით: ანგარიში ფორმა, განმავითარებელი რუბრიკის ფორმა, კურიკულუუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

ჩარჩო, სადა ნათლად ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიეტერებული სასკოლო კურიკულუმის არსებობა. კათედრის ოქმები და ხარისხის ჯგუფის მასალები მტკიცებულებაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ასპექტში. სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აფასებს სასკოლო გარემოს უსაფრთხოებას და გასცემს რეკომენდაციებს. ყოველი წლის ბოლოს ხდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზეც ხდება სკოლის საჭირო მატერიალური რესურსებით განახლება.

**ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეფასება ხორციელდება მრავალი კოტექსტის გათვალისწინებით. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია სიტუაციის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ოქმის შემაჯამებელ ფორმებში ჩანს, რომ მოსწავლეთა დიაგნოსტირება ხდება შესაბამისი ინსტრუმენტის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების შესრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება მოსწავლეთა ტიპური პრობლემები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

**ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის შეაფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები როგორებიცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენფიცირება და ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნაზე ორიენტირებულია საგნობრივი კათედრები. კათედრის სხდომებზე ხდება გაანალიზება მიღებული შედეგების, შემაჯამებლების ანალიზი და შემდგომ კურიკულუმის მოდიფიცირება. კარგი იქნება კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის დეტალები ასახული იყოს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში.

**ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, საგნობრივი კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ასევე, საფეხურის დონეზე, ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებული იქნება ყველა ის პრობლემები, რომლებიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. პრობლემის გადასაჭრელად განსახორციელებელ ცვლილებებს კოორდინირებას გაუწევს საგნობრივი კათედრები.

**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------ ------------------ ------------------

------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (საბაზო საფეხური)

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია<br>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომ | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------ ------------------ ------------------

------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია" აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება იწყება სასწავლო წლის დასრულებისას კათედრების მიერ, შემდეგ ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას ბარათების გადაგზავნით, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულებას, ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე („სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია", საგნობრივი კურიკულუმები), კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________ ___________ ___________

___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________

რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით და ფიქსირდება მათი შეხედულებების მასწავლებლების მიერ გათვალისწინების მზადყოფნა, კომპლექსური დავალების შესრულებაზე მიმდინარეობს დაკვირვება და ანალიზი შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით (რა და როგორ უნდა მომხდარიყო, რა მოხდა, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად), დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.
ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასურველია მოცემული მეთოდოლოგია გადაიხედოს და ჩაემატოს სასკოლო საზოგადოების სხვა თემის წარმომადგენელი) ფუნქცია-მოვალეობებიც.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივ კურიკულუმში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს უგზავნიან მასწავლებლებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის პროცესში იგრძნობოდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარის, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილობს სასკოლო საზოგადობა.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. საბაზო საფეხურზე ნაკლებია მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათი ანალიზის და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

ინტერვიუს შედეგები და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება, როგორც საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (მაგ., კვლევა) ფორმირებაზე.

**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 ს.წ. შემუშავებული „ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები / სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

ინტერვიუს შედეგები, წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ნიმუშების სახით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. წარმოდგენილი მასალის, ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. კათედრის წევრებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კათედრის ოქმით (შემაჯამებელი ფორმა) დასტურდება, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მიღებული შედეგების მიხედვით დაიგეგმება.

**ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- კათედრის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
**ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საბაზო საფეხურის კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ასევე ვლინდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე.
**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპზე სკოლის მიერ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებში არ ჩანს კითხვები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენ, თუმცა სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრებული აქვს სწავლა/სწავლების მნიშვნელობა მათი განვითარებისათვის და აქცენტს აკეთებს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ ამის გამოცდილება სკოლას აქვს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, სრულად იცავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას, მუშაობის პროცესში მოსწავლეს აფიქრებს სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარება მას მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ახლად შემუშავებული საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს, კომპლექსური ბუნების დავალებები გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და საგნობრივი კომპონენტების იტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___ ___ ___

___ ___ ___ ___ ___ ___ ___

ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა უკვე აქვთ და მომავალშიც აპირებენ, რაც კიდევ მეტად დაეხმარება მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია, კურიკულუმები შემუშავების პროცესშია და ბოლომდე არაა გაწერილი, თუმცა მითითებულია ის საგნობრივი საკითხები, რაც უნდა გაიარონ წლის მანძილზე და გააზრებულია მათთან შესაბამისი სამიზნე ცნებები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის.

**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა და სოციალურ ქცევებს შორის.
ჩატარებული გასაუბრები შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გამოყენებული კონტექსტები უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

**ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. კერძოდ, გულისხმობს მოსწავლის შესაძლებლობის, უნარების პოტენციალის განვითარების დინამიკას, მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში (კრიტერიუმის განხილვის გზით, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასებით და ა.შ), ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და თანაშეფასებას. მომავალი სასწავლო წლიდან საგნობრივი კათედრა თითოეული კომპლექსური დავალებისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებს. სკოლას ვურჩევთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (ხუთი დონე: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონე), რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას-ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე და წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს.

**ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას ეფუძნება. შეფასების სისტემური ხედვა ასახავს: შეფასების კონცეფციას, მეთოდიკურ ორიენტირებას და მიდგომას. მამსწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასებას განახორციელებენ გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს, ასევე პროცესს, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და სხვ., რითაც სასკოლო საზოგადოებას და, პირველ რიგში, მოსწავლეს ექნება განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი, სანდო და უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარი სამართლიანობა.

**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

5. სკოლას დოკუმენტის სახით არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილი მექანიზმი, თუმცა საბაზო საფეხურზე შეფასების სიზუსტის შემოწმების მიზნით სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე შემაჯამებელი ტესტირების ანალიზის საშუალებით. *სასურველია სკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი.*

**ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

**ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: __________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისთვის საჭირო ყველა საკითხი, რომლებსაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ხაზს უსვამს სასკოლო კლიმატის მნიშვნელობას. თანამშრომლობითი ურთიერთობები პრიორიტეტულია საქმიანობის პროცესში. დირექტორი ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კერძოდ, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები და სასწავლო პროცესიც ამის შესაბამისად იგეგმება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. სკოლას გათვალისწინებული აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა, ასევე, გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად თუ წარმატების უზრუნველსაყოფელად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. სკოლა მზადაა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი თვალით დანახული პერსპექტივები შესაძლებელია დაწესებულებისთვის იყოს ნაყოფიერიც და ხელშემშლელიც იმის მიხედვით, თუ როგორია სასკოლო კულტურა.

**ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა. კლასში პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მრავალფეროვანი, საინტერესო და ინტერაქტიული რესურებით მოწყობილი გარემო, რომელიც დადებით განწყობას ქმნის დანახვისთანავე.

**ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში არ არის ყურადღება გამახვილებული კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე, თუმცა ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად ხდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

მონიტორინგი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფას.

**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება 3 საკვანძო მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მმართველ გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მიღწევა, რა დროსაც მასწავლებლები შეძლებენ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და დაგეგმონ შემდგომი სწავლის პროცესი. დაგეგმვა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. ამ სამი მიმართულების საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები.

**ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციის განმარტებით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ყველა კვლევითი კითხვა და იდეა მოემსახურება სკოლის წინაშე მდგომ გამოწვევებსა და მოლოდინებს, რაც შეფასების სფეროების და მიმართულებების მიზნობრიობის დადგენას შეუწყობს ხელს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაცია. კერძოდ გამოკითხვა, დაკვირვება, ურთიერთთანამშრომლობა, რაც დასტურდება კურიკულუმს მეთოდოლოგიის დანართებით: ანგარიში ფორმა, განმავითარებელი რუბრიკის ფორმა, კურიკულუმის ჩარჩო, სადა ნათლად ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიეტერებული სასკოლო კურიკულუმის არსებობა. კათედრის ოქმები და ხარისხის ჯგუფის მასალები მტკიცებულებაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ასპექტში. სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აფასებს სასკოლო გარემოს უსაფრთხოებას და გასცემს რეკომენდაციებს. ყოველი წლის ბოლოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზეც ხდება სკოლის საჭირო მატერიალური რესურსებით განახლება.

**ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეფასება ხორციელდება მრავალი კოტექსტის გათვალისწინებით. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია სიტუაციის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ოქმის შემაჯამებელ ფორმებში ჩანს, რომ მოსწავლეთა დიაგნოსტირება ხდება შესაბამისი ინსტრუმენტის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების შესრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება მოსწავლეთა ტიპური პრობლემები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

**ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის კათედრის ოქმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი შეაფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები როგორებიცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენფიცირება და ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე.

**ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნაზე ორიენტირებულია საგნობრივი კათედრები. კათედრის სხდომებზე ხდება გაანალიზება მიღებული შედეგების, შემაჯამებლების ანალიზი და შემდგომ კურიკულუმის მოდიფიცირება. კარგი იქნება კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის დეტალები ასახული იყოს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში.

**ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, საგნობრივი კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ასევე, საფეხურის დონეზე, ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებული იქნება ყველა ის პრობლემები, რომლებიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. პრობლემის გადასაჭრელად განსახორციელებელ ცვლილებებს კოორდინირებას გაუწევს საგნობრივი კათედრები.

**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (საშუალო საფეხური)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხურის კურიკულუმი) | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი** 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (საშუალო საფეხური)

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება იწყება სასწავლო წლის დასრულებისას კათედრების მიერ, შემდეგ ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას ბარათების გადაგზავნით, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულებას, ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება.
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე („სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, საგნობრივი კურიკულუმები), კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით და ფიქსირდება მათი შეხედულებების მასწავლებლების მიერ გათვალისწინების მზადყოფნა, კომპლექსური დავალების შესრულებაზე მიმდინარეობს დაკვირვება და ანალიზი შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით (რა და როგორ უნდა მომხდარიყო, რა მოხდა, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად), დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.
ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასურველია მოცემული მეთოდოლოგია გადაიხედოს და ჩაემატოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ფუნქცია-მოვალეობებიც.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის პროცესში იგრძნობოდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში გაწერილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

მასწავლებლების, კათედრის თავჭდომარის, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადობა.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში არ არის წარმოდგენილი თუ რა გზებით და ფორმით ხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, თუმცა ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა და გაანალიზება. აღნიშნული ინფორმაციის მშობლებთან გაზიარებისთვის გამოიყენება მშობელთა კრება და სოციალური ქსელში შექმნილი ჩათები. სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც გაიწერის სასკოლო კურიულუმის გაზიარების გზები. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ამის თაობაზე დასკვნის გაკეთება შესაძლებელია ახალციხის №1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხურის კურიკულუმების საფუძველზე, რომლებშიც მოცემულია:

- ✓ შესაბამისი საგნის საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები;
- ✓ შესაბამისი საგნის საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები
- ✓ თემების მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები,
- ✓ თემების მიხედვით გამოყოფილია ძირითადი საკითხი (გრიფირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე გამოყოფილი საკითხების კლასტერების საფუძველზე);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

კურიკულუმის შევსებული ჩარჩო-ცხრილები და მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასწავლებლების მიერ გააზრებულია დასამუშავებელი საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები.

**ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლეში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), ვინაიდან ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობას.  საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს ფარგლებში დგინდება, რომ მასწავლებლების მიერ გააზრებულია დასამუშავებელი საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ისინი აღწერენ საგნობრივი საკითხების განხილვისას დაგეგმილ/განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მაკროცნებების ჩამოყალიბებას;

**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 ს.წ. შემუშავებული „ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინტერვიუს მსვლელობისას, მასწავლებლების მიერ ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.); ინტერვიუს შედეგები, წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. სკოლაში გამოიყენება შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. მათი გამოყენება ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით.

**ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. კათედრის წევრებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კათედრის ოქმით (შემაჯამებელი ფორმა) დასტურდება, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს სკოლა მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე დაგეგმავს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო პროექტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- კათედრის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

1. სკოლა საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვას გეგმავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სწავლა-სწავლების ხუთი პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში წარომდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზროს სამიზნე ცნება, სიღრმისეულად გაიაზროს საკითხი, ააგოს ახალი ცოდნა წინაზე დაყრდნობით. სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის განავითაროს პოზიტიური სასკოლო კულტურა და სასკოლო კლიმატი. კერძოდ, წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების შეთავაზებით, სასკოლო პროექტების, სპორტული და საკლუბო აქტივობების განხორციელებით მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს მაღალი თვითშეფასება და განუვითაროს მნიშვნელოვანი უნარები.

**ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია ახალი ცოდნის კონსტრუირება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. კერძოდ, თემა, რომელიც მუშავდება, მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ნაცნობი კონტექსტი მოსწავლეს გაუადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, გაეზარდოს მოტივაცია და სხვ.

**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გააზრებული აქვს სწავლის სწავლის მნიშვნელობა მათი განვითარებისათვის და მზადაა აქცენტი გააკეთოს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ახლად შემუშავებული საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა გეგმავს, მოსწავლეს შესთავაზოს კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტული ტიპის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მას განუვითარდება ყველა კომპეტენტური უნარი და შეძლებს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას.

**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია, კურიკულუმები შემუშავების პროცესშია და ბოლომდე არაა გაწერილი, თუმცა მითითებულია ის საგნობრივი საკითხები, რაც უნდა გაიარონ წლის მანძილზე და გააზრებულია მათთან შესაბამისი სამიზნე ცნებები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულების ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ----------

შემთხვევაში სამიზნე ცნების ქვეცნებები დასაზუსტებელია. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ სავარაუდოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზია და გამოთქვეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დაწყებადე შეასწორებენ ყველა ხარვეზსს.

**ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა და სოციალურ ქცევებს შორის.
ჩატარებული გასაუბრები შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.
დასკვნისაით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გამოყენებული კონტექსტები უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
**ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. .კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სტანდარტის შედეგების მიღწევის 5-დონიანი ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე
**ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________ ___________ ___________

___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________ ___________

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

**ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დოკუმენტის სახით არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილი მექანიზმი, თუმცა დაწყებით საფეხურზე შეფასების სიზუსტის შემოწმების მიზნით სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე შემაჯამებელი წერების ანალიზითა და გაკვეთილებზე დასწრებით. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი.

**ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესისი შესაბამისად ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

**ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------ ------------------ ------------------

------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისთვის საჭირო ყველა საკითხი, რომლებსაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ხაზს უსვამს სასკოლო კლიმატის მნიშვნელობას. თანამშრომლობითი ურთიერთობები პრიორიტეტულია საქმიანობის პროცესში. დირექტორი ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კერძოდ, საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები და სასწავლო პროცესიც ამის შესაბამისად იგეგმება. მნიშვნელოვანია სკოლის მხარდაჭერა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროცესში. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

მონიტორინგი. სკოლა გეგმავს ჩატარდეს დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა, ასევე, გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

**ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად თუ წარმატების უზრუნველსაყოფელად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. სკოლა გამოხატავს მზაობას, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი თვალით დანახული პერსპექტივები შესაძლებელია დაწესებულებისთვის იყოს ნაყოფიერიც და ხელშემშლელიც იმის მიხედვით, თუ როგორია სასკოლო კულტურა.

**ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. რასაც ხელს უწყობს სკოლაში კლუბური მუშაობა, სადამრიგებლო პროგრამები, არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად საჭიროა სასკოლო კლიმატის მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა.

**ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------- ---------------- ----------------

---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ---------------- ----------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

#### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში არ არის ყურადღება გამახვილებული კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე, თუმცა ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად ხდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის მონიტორინგი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფას.

**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება 3 საკვანძო მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მმართველ გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მიღწევა, რა დროსაც მასწავლებლები შეძლებენ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და დაგეგმონ შემდგომი სწავლის პროცესი. დაგეგმვა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. ამ სამი მიმართულების საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები.

**ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციის განმარტებით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------- ----------------- -----------------

----------------- ----------------- ----------------- ----------------- ----------------- ----------------- -----------------

კურიკულუმში. ყველა კვლევითი კითხვა და იდეა მოემსახურება სკოლის წინაშე მდგომ გამოწვევებსა და მოლოდინებს, რაც შეფასების სფეროების და მიმართულებების მიზნობრიობის დადგენას შეუწყობს ხელს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაცია. კერძოდ გამოკითხვა, დაკვირვება, ურთიერთთანამშრომლობა, რაც დასტურდება კურიკულუმს მეთოდოლოგიის დანართებით: ანგარიში ფორმა, განმავითარებელი რუბრიკის ფორმა, კურიკულუუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______ ______ ______

______ ______ ______ ______ ______ ______ ______

ჩარჩო, სადა ნათლად ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიეტერებული სასკოლო კურიკულუმის არსებობა. კათედრის ოქმები და ხარისხის ჯგუფის მასალები მტკიცებულებაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ასპექტში. სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აფასებს სასკოლო გარემოს უსაფრთხოებას და გასცემს რეკომენდაციებს. ყოველი წლის ბოლოს ხდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზეც ხდება სკოლის საჭირო მატერიალური რესურსებით განახლება.

**ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება ხორციელდება მრავალი კოტექსტის გათვალისწინებით. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია სიტუაციის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ოქმის შემაჯამებელ ფორმებში ჩანს, რომ მოსწავლეთა დიაგნოსტირება ხდება შესაბამისი ინსტრუმენტის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების შესრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება მოსწავლეთა ტიპიური პრობლემები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

**ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის კათედრის ოქმიდან (შემაჯამებელი ფორმა) ჩანს, რომ სასწავლო პროცესი შეაფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები როგორებიცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენფიცირება და ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე.

**ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________ ________

________ ________ ________ ________ ________ ________ ________

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნაზე ორიენტირებულია საგნობრივი კათედრები. კათედრის სხდომებზე ხდება გაანალიზება მიღებული შედეგების, შემაჯამებლების ანალიზი და შემდგომ კურიკულუმის მოდიფიცირება. კარგი იქნება კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის დეტალები ასახული იყოს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში.

**ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, საგნობრივი კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის, ასევე, საფეხურის დონეზე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________ ____________ ____________

____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________ ____________

ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებული იქნება ყველა ის პრობლემები, რომლებიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. პრობლემის გადასაჭრელად განსახორციელებელ ცვლილებებს კოორდინირებას გაუწევს საგნობრივი კათედრები.

**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------ ------------ ------------

------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------ ------------

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

.................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................

6 სექტემბერი 2023 წელი.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------ ------------------ ------------------

------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------ ------------------